# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარნიცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „**ივერია**" აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

---

**კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა შვილებითურთ** და **თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მელიქიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 31 მარტს, დილის ათს საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში იქნება **ორმოცის წირვა** და **პანაშვიდი** განსვენებულის თავადის გენერალ-ადიუტანტის **ლევან ივანეს ძის მელიქიშვილისა.**

(2—46—2)

---

საააღდგომო საჩუქარი

**ქართველებს.**

იხილეთ მეოთხე გვერდზედ

ქართველთა ამხანაგობის განცხადება.

---

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ დამაფუძნებელთ და მსესხებლებს ბანკისას, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით საზოგადო კრება დანიშნულია ამ 1892 წლის 12 მაისს, დილის 10 საათზედ, საადგილ-მამულო ბანკის სახლში, ტფილისს, სასახლის ქუჩაზედ. განსახილველი საგნები საზოგადო კრებისა:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1891 წლის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება დაფასებათა ინსტრუქციისა.

3) წინადადებანი ბანკისა ქალაქს ბაქოსა და ბათუმში სააგენტოების დაარსების შესახებ.

4) წინადადება იმის შესახებ, რომ ერთი წევრი კიდევ მოემატოს ბანკის გამგეობას

5) მსესხებელთათვის შეღავათის მინიჭების შესახებ, როცა იგინი დაზარალდებიან უბედურ შემთხვევათა გამო.

6) განხილვა და დამტკიცება 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

7) მოხსენება იმ საჭიროებათა შესახებ, რომელთაც უნდა მოხმარდეს საზოგადო საჭიროებისათვის წმინდა მოგების $35^{0}/_{0}$-ით შემდგარი თანხა 1891 წელს.

8) მოხსენება იმ მამულების შესახებ, რომელიც ბანკს დარჩა.

9) განხილვა სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათა თხოვნისა იმის შესახებ, რომ შემწეობა მიეცეთ,

და 10) არჩევანები: ზედამხედველ კომიტეტის ერთის წევრისა, სამაგიეროდ ნ. დ. ქანანოვისა, რომელმაც სამსახურს თავი უნდა დაანებოს; გამგეობის ერთის წევრისა, სამაგიეროდ თავ. დავით ივანეს ძის ავალოვისა, რომელმაც რიგით თავი უნდა დაანებოს სამსახურს, და არჩევანი დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, სამაგიეროდ ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძისა და თავ. გიორგი სარდიონის ძის ციციშვილისა, რომელთაც რიგით სამსახურს თავი უნდა დაანებონ. (3—3)

---

კვირას, 12 აპრილს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში იქნება.

## საზოგადო კრება

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

საგნები კრებისა:

1) ახალი წევრების ამორჩევა;

2) 1 ოქტომბრის 1890 წლ.—1 აპრილის 1892 წლ. ანგარიშის დამტკიცება;

3) ახალის მმართველობისა და კომისიების ამორჩევა.

ვისაც წარსულის წლის საწევრო ფული (5 მ.) არ შემოუტანია, კრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მმართველობა უმორჩილესად სთხოვს წევრებს, საწევრო ფულის შემოტანა დააჩქარონ.

(5—1)

---

ტფილისი, 30 მარტი

გერმანიის საერო განათლების მინისტრი გრაფი ცედლიცი იძულებულ იქმნა სამსახურისათვის თავი დაენებებინა და კინაღამ მისმა სამსახურიდგან გადადგომამ კანცლერი კაპრივიც გრაფს ცედლიცს უკან გააყოლა. ცედლიცის სასკოლო პროექტი გერმანიის ერის მომეტებულს ნაწილს არ მოეწონა, სამღვდელოებას დიდს უფლებას აძლევთ სკოლის საქმეშიო. ამას ვერ მოვითმენთ, რომ გერმანიის ერთად-ერთი ნუგეში, თავისუფალი საერო განათლება, რითაც გერმანია სამართლიანად თავ-მომწონეობს, კლერიკალებს ჩაუვარდეთ ხელშიო, ამბობდნენ პროექტის მოწინააღმდეგენი. ხვეწნა და მუდარება ათასი მოსდიოდა ყოველ დღე იმპერატორს, ნუ შეიწყნარებ ცედლიცის სასკოლო კანონსაო. ასე გასინჯეთ, თვით უნივერსიტეტებმაც-კი ადრესები გაუგზავნეს ხელმწიფეს და ემუდარებოდნენ, გერმანიას ნუ დაჰღუპავო.

რაკი მომეტებული ნაწილი ერისა ასე აღელდა და უარობდა ახალს სასკოლო კანონს, იმპერატორი იძულებული შეიქმნა სასკოლო კანონის ავტორისთვის ნება მიეცა, დაენებებინა თავი სამსახურისათვის, და თვით კანონიც უარ ეყო.

კლერიკალებს გარდა, ყველას იამა ასე მშვიდობით დასრულება ატეხილის დავიდარაბისა; კლერიკალებს-კი ძლიერი საპოლიტიკო დასი ჰყავთ პარლამენტში. რკინის კანცლერი თ. ბისმარკი ყოველთვის წითელს კვერცხს უგორებდა კლერიკალების წარმომადგენლებს, რადგან მათ დაუხმარებლად გასაჭირი იყო მისთვის საქმის წარმოება. ასევე იქცეოდა კაპრივიც. ეხლა, რაკი-ღა ცედლიცი, მათის სურვილის აღმსრულებელი, იძულებულ გაჰხადა მთავრობამ, დაანებე სამსახურს თავიო, კლერიკალებმა გადასწყვიტეს მთავრობის ჯავრი სამოყრა. მართლაც ამ დღეებში ისე გაიმარჯვეს კლერიკალებმა, რომ გადაჩვეული დამარცხებას გერმანიის მთავრობა დიდხანს ძალას ვეღარ მოიკრებს.

აი საქმე რაშია: მთავრობამ ითხოვა ხარჯი ერთის სამხედრო კორვეტის გასაკეთებლად. პარლამენტმა უარი უთხრა ხმის უმეტესობით. ეს, რასაკვირველია, კლერიკალების ოინებია. ამ ოცის წლის განმავლობაში პირველი მაგალითია, რომ გერმანიის ერი თავისს მთავრობას უარს ეუბნებოდეს, კმარა, ხარჯს აღარ მოგცემთ მხედრობის გასაძლიერებლად და ნავ-ხომალდების ასაგებადაო. გერმანიას ამ ბოლო დროს სხვაფრივაც დავთრები აერია და პარლამენტის ასეთი უარი ხომ გონებას დაუკარგავს მის მეთაურებს.

მომეტებულად გაუჭირდა საქმე ახლად გამომცხვარს გრაფს კაპრივის და მეტად ცუდს გუნებაზეა. კლერიკალები ყოველ ჟამს მუქარას უთვლიან, გრაფ ცედლიცს მხარი არ დაუჭირე, გაჭირვებაში არ დაეხმარე და ჩვენც, ნურას უკაცრავად, თუ ხელი ავიღეთ შენზედაო. ბისმარკის მომხრე გაზეთები კიდევ არ ისვენებენ და მწარედ ოხუჯობენ კაპრივის შესახებ. ერთად-ერთი სამსახური კაპრივისა სამშობლოს წინაშე, ამბობენ ისინი, სავაჭრო ხელ-შეკრულობანია, რისათვისაც კაპრივიმ გრაფობა გამოიგრაო. ამ ხელ-შეკრულობამ-კი გაი საგრძნობელი ბევრი დაადო გერმანიას მოკავშირეთა სასარგებლოდაო. მოკავშირეთა შორის კიდევ ბევრნი არიან ისეთნი, რომელნიც მეგობრობის მაგიერ ომის დროს ღალატს გვპირდებიანო. მართლაც, ამ რამდენისამე დღის წინად ავსტრიაში მცხოვრებმა იტალიელებმა, ეგრედ წოდებულმა ირრიდენტებმა, ე. ი. სრულიად იტალიის აღდგენის მსურველებმა, კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს: ავსტრია დაიწყებს თუ არა ომს, ჩვენთვის სულ ერთია, საკუთრად თავისისა თუ თავის მოკავშირეთა სასარგებლოდ, ჩვენ ჩვენის საქმის ზრუნვას უნდა შევუდგეთო. უკეთესს დროს ვერც ვიხელთებთო. ავსტრია გაჭირვებული იქნება, ჩვენთვის აღარ ეცლება და საწადელს მალე და ადვილად შევისრულებთო.

---

# ფელეტონი

## ათაბაგნი ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი.

(დასასრული, იხ. „ივერია" № 62)

ალბულამ მკრთალად და თითქო უნებურადაც აღნიშნა თითო-ოროლა ისეთი დანაშაული, რომელიც სახელმწიფოს და მეფის წინააღმდეგ მიმართულია (государственное преступленіе). თუ რად მოიქცა ასე ალბულა—მიზეზი ჟამთა ვითარებაშია: საათაბაგო დამოუკიდებლობის გზას ადგა და არც ფეოდალობა უწყობდა ხელს მეფისა და სახელმწიფოს უფლების აღორძინებას. საქართველოში, მეტადრე ძველად, მეფეს არასოდეს არა ჰქონია განუსაზღვრელი უფლება. მართალია, მეფე თავის ვასსალებზედ მაღლა იდგა, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა [342]). ევროპაშიც ეგრე იყო და ამიტომ კოროლის მკვლელი ისეთ დამნაშავედ მიაჩნდათ, როგორადაც სხვა მკვლელი: ინგლისელ-საქსონელებისა და ბავარელების სამართალი აწესებდა, კოროლის მკვლელმა ორკეცედ და ოთხკეცად დაიურვოს სისხლი და საქმე ამით გათავდესო [343]). ათაბაგი მეფის მოკვლას არ იხსენიებს, მხოლოდ მეფის წინაშე „შეცოდებას" აღწერს და ისიც იმ „შეცოდებას", რომელსაც მარტო სასულიერო კაცი სჩადიოდა,—თუ ეპისკოპოზმა, მოძღვარმა და სხვა სასულიერო კაცმა მეფეს „შესცოდოს", დამნაშავის ხელთ შეპყრობა არ შეიძლება, „შეკაზმა მართებს ეპისკოპოზსა მეფისა", „მიზეზსა უნდა გამონახვა და გარდახდევაო" (მუხ. რბ, რდ). როგორც „შეკაზმა", ისე „გარდახდევა" ჩვეულებრივს სისხლის დაურვებას ნიშნავდა. მაგრამ სისხლის რაოდენობა ნაჩვენები არაა, თუმცა-კი ნამდვილია, რომ მეფეს ყოველთვის მეტი სისხლი სდიოდა, ვიდრე იმის ვასსალსა. მეფე განმარტოებით სუფევდა, უპირატესობით აღჭურვილი იყო და საკუთარი „სჯულის საქმე" ჰქონდა მინიჭებული—„თუ მეფე ეპისკოპოზს გაუწყრეს, გინდა უსამართლოდ, გინდა სამართლითა... რაცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარნენო" (მუხ. რგ). არც ეს „მეფის სჯულის საქმეა" განმარტებული. თუ არ დავივიწყებთ, რომ მეფეს ეპისკოპოზისა და სხვა სასულიერო კაცის ხელთ შეპყრობის ნება არა ჰქონდა, მაშინ ცხადი იქნება, რომ მეფის „სჯულის საქმე" სრულიად არ მოასწავებდა იმის განუსაზღვრელს უფლებასა. ფეოდალურს სამთავროში მეფეს თითქმის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც ათაბაგსა. სხვათა შორის, ამის ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ დიდის დანაშაულისათვის თვალთა დაწვა მეფესაც შეეძლო გაეჩინა და ათაბაგსაც (მუხ. რნგ). იმათ გარდა, ამ სასჯელის ნებას სამართალი არავის აძლევდა.

რაკი ფეოდალობა სახელმწიფოს უფლების აღორძინებას აფერხებდა და წინ ეღობებოდა, უეჭველია, ფეხს ვერ მოიკიდებდა ისეთი დანაშაული, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულია. ალბუღა არც განმარტებს, თუ რაა ეგეთი დანაშაული, რითი გაირჩევა იგი სხვა დანაშაულისაგან. მოხსენებულია ღალატი, დიდის სალაროს ძარცვა. მაგრამ ამ ორსავე დანაშაულს განკერძოებული ხასიათი და თვისება არ ამჩნევია და გვერდით უდგიათ ჯვრის წასხმა და ეკკლესიის ძარცვა (მუხ. რნგ). შეიძლება მხოლოდ დავასკვნათ, რომ საათაბაგოშიაც სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულად ისეთი ბოროტი მოქმედება მიაჩნდათ, რომელიც მთლად საზოგადოებას შეეხებოდა. სხვაგანაც თავდაპირველად ასე ყოფილა. რომში, მაგ., ღალატს უწოდებდნენ ყოველ გვარს დანაშაულს, რომელიც სამშობლოს წინააღმდეგ იყო მიმართული და საზოგადო მტრობას ნიშნავდა, თუნდა დანაშაულს კერძო ხასიათიც ჰქონოდა [344]). ამას ვხედავთ საბერძნეთშიაც, სადაც მოღალატეს სიკვდილით სჯიდნენ და მამულს ართმევდნენ [345]). გერმანელებს მოღალატედ მიაჩნდათ ყველა, ვინც მტერს მიემხრობოდა, და დამნაშავეს ხეზედ არჩობდნენ. მხდალი მეომარიც მოღალატეაო, რომელიც ჭაობიანს ტალახში უნდა ჩაჰფლაონო [346]). საათაბაგოშიაც ღალატს ზოგადი და ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და სასჯელიც ამისდა გვარად გაუჩინეს—„რაცა ავი იქნების, ყველა უყოს პატრონმა შეზახებულთა კაცთაო" (მუხ. მა). თუ პატრონი მოღალატეს შეუნდობდა, ან არა-და, მოღალატე თავს იმართლებდა, „რაცა კაცისაგან ავი საზიანო მოიგონების, ყოველთა მტერობასა ემართლების" იმას, ვინც ღალატი დასწამაო. შეიძლებოდა კაცს ღალატი ჩაედინა კერძოდ თავის „პატრონის" წინააღმდეგ. ასეთი ღალატიც მძიმე დანაშაულს შეადგენდა და როცა „ღალატის შესმენა"—დაბეზღება, ეს-და-ეს მოღალატეაო, არ დამტკიცდებოდა,—„სრული სისხლი მართებს" შემსმე-

[342]) იხ. „გუჯრები" ა. ხახანაშვილისა, გამოცემა დეკ. დ. ლამბაშიძისა, 1891 წ. გვ. XV—XXIV.

[343]) Совр. Об. и Др. Зак. II. 127 примѣч.

[344]) Майнцъ, стр. 32.

[345]) Совр. Об. и Др. Зак. II. 128.

[346]) Беко, 121.

ასეთი ამბები მოსდის კაპრივის მოკავშირე სახელმწიფოდგან და მოდი და გული ნუ გაუტყდება.

ეს კიდევ არაფერი. ავსტრიაში მცხოვრებმა სლავიანებმა განიზრახეს ედღესასწაულათ იან კომენსკის სამასის წლის გარდაცვალების დღე. მთავრობამ ნება არ მისცა დღესასწაულისა. ეს გარემოება დაიხვიეს ხელზედ სლავიანთა გაზეთებმა და მათმა დეპუტატებმა და მოსვენებას აღარ აძლევენ ავსტრიას. მთავრობა, გაიძახიან ისინი, მამობას-კი არა, სწორედ მამინაცვლობას გვიწევსო. გერმანიასთან მეგობრობა ჩვენი დაღუპვაა და სხვა არაფერი. გერმანია რომ არ უწყობდეს ხელს ავსტრიას, თავის დღეში ვერ გაგვიბედავდა ავსტრია ასე დაბრიყვებასა და დაჩაგვრასაო. სწორედ მოგახსენოთ, ასეთი მეგობრები დიდი საიმედონი არ არიან გერმანიისათვის.

ავსტრიის სლავიანებს ტაშს უკრავს სახელ-განთქმული „მოსკოვის უწყებანი". გაზეთი ცეცხლს აყრის თავზედ ავსტრიის მთავრობას. ვის გაუგონიაო, წყრომითა და მუქარით გაიძახის მოსკოვის გაზეთი, რომ ერს დაუშალონ თავისის თანამემამულის გარდაცვალების დღე იდღესასწაულოს, სამშობლო ენაზედ ილაპარაკოს და სამშობლო ენაზედ ასწავლონ ბავშვებს წერა-კითხვაო. ასეთი ძალმომრეობა გასაკიცხია და შესაძრწუნებელი მეცხრამეტე საუკუნეშიო, დასძენს მოსკოვის გაზეთი. მოსკოვის უწყებას ბანს აძლევს არა ნაკლებ სახელ-განთქმული ბ-ნი ილოვაისკი. ილოვაისკი უბრალო კაცი არ არის, კარგა ხანს პროფესორობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, შემდეგ თავი დაანება სამსახურს და ხელი მიჰყო სამშობლო ისტორიის გამოკვლევასა; შეადგინა აგრეთვე სამშობლო და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც ეხლაც იხმარება ყველა რუსეთის საშუალო სასწავლებელში. აი სწორედ ეს კაცი ამოუდგა მოსკოვის უწყებას გვერდში და ერთად სტირიან, რომ ავსტრიის გერმანელები ვითომ-და აწუხებენ სლავიანებსაო.

ამ ვაჟბატონს და მოსკოვის უწყებას სამართლიანად უსაყვედურებს ბ-ნ ვ. გოლცევი, ესეც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორად ნამყოფი. თქვენი ჩივილი და წუწუნი ვერ გაგვიგიაო. გულის წყრომით ჰქადაგებთ, რომ სლავიანების დაჩაგვრა არ არის კარგიო, რომ იმათ უნდა მიენიჭოს თვით-მმართველობაო. ძალიან კარგი და პატიოსანი! ამბობს გოლცევი: მაშ ფილნიანდიის სამთავროს გაქარწყლებას რაღად ჰქადაგებთ? ეს ხომ ფარისევლობაა და სხვა არაფერი. ან-კი ვინ უნდა მოატყუოთ ეხლანდელს დროში მაგ გვარის გოდებითაო?

ჩვენის აზრითო, ამბობს დასასრულ ბ-ნი გოლცევი *): ძნელი მოსახერხებელია, ისე გაიმიჯნოს ევროპა, რომ თითოეულ სახელმწიფოში მარტო ერთი რომელიმე ერი სცხოვრობდეს, მაგრამ ეს-კი მოსახერხებელია, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებდეს ყველა ერის კანონიერს მოთხოვნილებას და ხელმძღვანელობდეს სიმართლითა და ჭეშმარიტებით და თავის მოღვაწეობაში ამ ბრწყინვალე პრინციპის მეტი სხვა არა ჰქონდეს რა წინ-წამძღვარებულიო.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

⁂ კვირას, 12 აპრილს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია კრება «ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა». კრებაზედ წაკითხულ იქნება საზოგადოების ანგარიში 1890 წლის ოქტომბრიდგან 1892 წლის 1 აპრილამდე და შემდეგ მოხდება არჩევანები საზოგადოების გამგეობის წევრთა. ეხლანდელი გამგეობა თავს ანებებს თავისს თანამდებობას და ამიტომ კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის შვიდი წევრი და ამდენივე კანდიდატი.

⁂ ლიტოგრაფიის პატრონს ბ-ნს კ. მესხიშვილს განუზრახავს ისეთისავე ალბომის დაბეჭდვა, როგორიც ამას წინად სომხებმა დაჰბეჭდეს. ალბომში მოთავსებული იქნება სურათები ჩვენის ძველისა და ახალის სახელოვან მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. ამ ჟამად ბ-ნი მესხიშვილი ამზადებს თამარ მეფის სურათს.

*) იხ. „Рус. Мысль", № 3.

⁂ კვირა საღამოს, 29 მარტს, ღამის ორს საათზედ, ტფილისის მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს გოგირდით მოწამლული ტფილისის მცხოვრებელი, აზნაური ალექსანდრე დიმიტრის ძე დრუჟინინი. მოწამლული ისეთს უნუგეშო მდგომარეობაში იყო, რომ მოძრაობა აღარ შეეძლო და სიცოცხლის ნიშან-წყალი სულ აღარ ეტყობოდა. როგორც აღმოჩნდა, დრუჟინინს თითონვე მოეწამლა თავისი თავი და თავის უფროსების მიმართ წერილიც დაეტოვებინა. წერილში სწერს: «გთხოვთ ჩემის სიკვდილის ბრალი არავის დასდოთ, რადგანაც მე თითონ მოვიწამლე თავი... ვგრძნობ, რომ ბოროტებას, ცუდს საქმეს ვჩადივარ, მაგრამ რა გაეწყობა, ამაზედ მეტის ატანის ძალ-ღონე აღარა მაქვსო...» ავადმყოფი მოასულიერეს და ეხლა ლაპარაკს უკვე ახერხებს.

⁂ ბ-ნ რაჟ. ჯაჯანაშვილს გადუთარგმნია ქართულად მაჰმადიანთ «ყურანის» რამდენიმე თავი. ეს თარგმანი ივნისის პირველამდე დაიბეჭდება. როგორც გვითხრეს, «ყურანი» უთარგმნია ქართულად აგრეთვე ბ-ნ პ. მირიანაშვილს.

⁂ ტფილისის ერთს ანტრეპრენიორს განზრახვა აქვს, მოიწვიოს ოპერის მომღერლები ნიკოლოოზ და მედეა ფიქნერები, რომელნიც ამ ჟამად ხარკოვში იმყოფებიან. თუ ეს მომღერლები ანტრეპრენიორის პირობებზედ დასთანხმდნენ, ნაალდგომევს ჩამოვლენ ტფილისში და რამდენსამე კონცერტს გამართავენ.

⁂ შაბათს, 28 მარტს, ტფილისის საქიმიო ლაბორატორიაში ერთი ღორი გასინჯეს და შიგ ღორთველა აღმოჩნდა. აქამდის-კი ამბობდნენ, ვითომ კავკასიაში ღორის ხორცს ღორთველა არა აქვსო.

⁂ ქართველთ მაჰმადიანთ აღდგომა 15 აპრილიდგან იწყება.

⁂ ამ დღეებში ჩვენა ვნახეთ გაიოზ ნაცვლიშვილის ქართულ-რუსული გრამატიკა, დაბეჭდილი 1802 წ. პეტერბურგში. ეს გრამატიკა მან პირველად კრემენჩუგში დაჰბეჭდა 1793 წ. და მეორედ, შეცვლილი, 1802 წ. დაუბეჭდია. ეს წიგნი «წერა-კითხვის საზოგადოებისათვის» შეუწირავს. ამ გრამატიკის მეორედ დაბეჭდვის შესახებ, თუ არა ვცდებით, დღემდე არავითარი ცნობა არ იყო ჩვენს მწერლობაში.

⁂ ტფილისის ქართველ ებრაელების სალოცავს (თორას) ბევრნი ემდურებიან: უადგილო ალაგას არის აშენებული და მასთანვე მეტად დაძველდა კიდეც შენობაო. რუსეთის ებრაელთ სალოცავი გაცილებით სჯობია ქართველებისასაო. სამშაბათს იწყება მათი პასექი და აქაური ებრაელობა დიდს მზადებაშია.

⁂ ფოთი: 22 მარტს აქ კრება მოხდა საურთიერთო შორის საზოგადოებისა. კრებამ სხვათა შორის განიხილა მოხსენება ადგილობრივ სკოლის ინსპექტორისა, რომელმაც საზოგადოებას სთხოვა, რაიმე შემწეობა აღმოუჩინეთ სკოლასთან ახლად დაარსებულს სამეურნეო განყოფილებასაო. საზოგადოებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა, 300 მანათი მისცეს სამეურნეო განყოფილებას. ამასთან ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ საქალაქო თვით-მმართველობამაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა სამეურნეო სკოლას: თავის ფულით აბრეშუმის ჭიის სადგურსა ჰმართავს, სახელოსნოებს უმატებს და უსასყიდლოდ უთმობს ამ სკოლის ბაღთან ახლო-მახლო მდებარე ადგილებს.

⁂ ზუგდიდი: გაზეთს «Нов. Обоз.»-ს სწერენ ზუგდიდიდგან, რომ 16 მარტს სამურზაყანოს ურიადნიკი მახარია ზუგდიდის მაზრის სოფ. ცალენჯიხას გადასულა ჩაფრებით ავაზაკ მაცი პიპიას საძებნელად. სოფ. ჯალის მცხოვრებელს ზოზიმე მიკავას მახარიასთვის უთქვამს: «არა გცხვენიან, გულადსა და ყოჩაღს პიპიასა სდევნიო». მახარიას მოაგონდა თურმე, რომ მიკავა ავაზაკ პიპიას ნათესავიაო. და ჩაფრებს ხეზედ მიაბმევინა. ეს ამბავი ვიღამაც ცალენჯიხის მომრიგებელს მოსამართლეს შეატყობინა. მომრიგებელმა მოსამართლემ მიკავა განათავისუფლა და თავის მხრივ ეს ამბავი გამომძიებელს აცნობა. გამომძიებელმა ურიადნიკ მახარიას საქციელი უკანონოდ სცნო და დააპატიმრა კიდეც. მახარია მხოლოდ 20 მარტს განთავისუფლდა თავდებობით.

⁂ 29 მარტს ჰუსეინ-ალი-იბრაჰიმ-ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ვერანცოვის ქუჩაზედ სადგური გამიტეხეს და 13 მან. ღირებული ჩოხა და ახალუხი მომპარესო.

## მთავრობის განკარგულებანი

კოლეჟსკი რეგისტრატორი თავ. ერისთავი კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტოს მმართველობის კანცელარიის მოხელედ დანიშნა. მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებული ჩარკვიანი დანიშნა ტფილისის 150 პოლკის უმცროსის მკურნალად. ქუთაისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ქიქოძე გადაყვანილ იქმნა ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწედ. სიკვდილის გამო გარიცხულ იქმნა ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე სტატსკი სოვეტნიკი ბახუტოვი. თელავის სამაზრო გამგეობის თარჯიმანს გუბერნსკი სეკრეტარს გიორგი კახიძეს კოლეჟსკი სეკრეტრობა ებოძა. ტფილისის პოლიციის ნაწილის ბოქაულის თანაშემწეს თავ. ზაქარია ნაკაშიძეს კოლეჟსკი რეგისტრატორობა ებოძა.

## წერილი ოზურგეთიდგან

(ნახული და გაგონილი)

(დასასრული. იხ. „ივერია", № 67)

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს სტუმარს-მეზობელს. როცა თავისი ვინაობა მიამბო ამ საამიცანო მებაღემ, ჩემმა ცნობის-მოყვარეობამ ერთი ათად იმატა. მოვინდომე კარგად გამეცნო და, ვითარცა ურწმუნო თო-

---

ნელსაო. რადა?—„ამად, რომ მისით გამოიმეტაო" (მუხ. რლგ). მაგრამ, უკეთუ „ღალატის შესმენა" მართალი გამოდგებოდა, პატრონმა „რაცა ავი იქნების", მიაგოს შეზახებულ კაცსაო...

ეკკლესია სახელმწიფო დაწესებულებად იქმნა აღიარებული და რა უპირატესობაც ჰქონდა მინიჭებული, თავის ალაგას ვუჩვენეთ. უეჭველია, ის დანაშაული, რომელიც ეკკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული, სახელმწიფოს შეურაცხებასაც ნიშნავდა და დიდად უნდა დასჯილიყო. მაგრამ ყველა საეკკლესიო დანაშაულზედ ეს არ ითქმის, რადგანაც ზოგჯერ ეკკლესია კერძო პატრონისა და ბატონის საკუთრებას შეადგენდა და სისხლი ნაკლები სდიოდა. ამას გარდა, ყველა ეკკლესია თანასწორის ღირსებისა არა ყოფილა და თითოეულს მათგანს სისხლი „გვარსა ზედა" ეურვებოდა. სისხლის რაოდენობა დამოკიდებული იყო, სხვათა შორის, ხატის ვინაობაზე. როცა ხატი «სამცველოდ ქვეყნისა ესვენა» და მაშასადამე ეკკლესია სამთავროს საკუთრებად ითვლებოდა, მაშინ ერთი და იგივე საეკკლესიო დანაშაული განსხვავდებოდა იმისდა გვარად, თუ რომელს ხატს შეურაცხჰყოფდნენ. აღბუღა ამბობს, მაცხოვრის ხატი ყველა ხატზე მაღლა სდგასო, «საუპიტიოდ» ოც-და-ათი გლეხი მართებს, ხოლო სხვა ხატს, მაგ., ღვთის-მშობლისას, ნათლის-მცემლისას, წმიდა გიორგისას—თორმეტი გლეხიო (მუხ. რკბ). რადგანაც ხატთა შორის «ზემო-ქვემოება» დაარსდა, ეკკლესიასაც უნდა დაურვებოდა, «რაცა დაწესებული პატიჟი ეწეროს და გაჩენილ იყოს»... დაწესებული და გაჩენილი პატიჟი იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთს ეკკლესიას საკუთარი სამართალის გუჯარი ჰქონდა ნაბოძები და სამართლის ქმნას განთვისებით აწარმოებდა. საყურადღებოა, რომ ასეთს მოვლენას, საათაბაგოს გარდა, საქართველოს სხვა სამთავროშიაც ვხედავთ [347]). მაგრამ ყველა ეკკლესიაზე ეს არ ითქმის,—ზოგი მათგანი საათაბაგოს საერთო სამართალს ექვემდებარებოდა. როცა ეკკლესია ბატონს ეკუთვნოდა, მაშინ სისხლი თავის პატრონის «გვარსა ზედა» ეურვებოდა—„თუ კაცმან კაცი გვემოს (გალახოს) და ეკკლესია გაუტეხოს, რაცა გვარისა იყოს, სრული სისხლი დაუურვოსო" (მუხ. რი). ეს კიდევ არაფერი. შეიძლებოდა ეკკლესია სხვა-და-სხვა „მოზარის" საკუთრება ყოფილიყო, ანუ, აღბუღას თქმით, „იგი ეკკლესია სანახევრო იყოს, ანუ სამესამედო, ანუ სამეოთხედო, ანუ სამრევლო". მაშინ?—„ანგარიში ქნან და აგრე დაუურვონ, რაცა წილი იდვას, ვისითაცა მიზეზითა დამართებოდესო" (აქ ეკკლესიის გატეხასა და დარბევაზეა ნათქვამი). „მოზარენი" გვერდით უნდა მოსდგომოდნენ დამნაშავეს, რომელიც ვერც ერთს მათგანს უარს ვერ ეტყვის დაურვებაზედაო. ერთის სიტყვით, ზოგი ეკკლესია „ზემოდ" იდგა და ზოგი „ქვემოდ". პირველს თავისი „დასაურვებელი პატიჟი ეწერა და გაჩენილი ჰქონდა", მეორეს-კი პატრონის „გვარსა ზედა" სდიოდა სისხლი. ყოველ შემთხვევაში, საეკკლესიო დანაშაული დიდ ბოროტებად სწამდათ და, სისხლს გარდა, დამნაშავეს სხვა სასჯელსაც ახდევინებდნენ. ამას მკრეხელობა ამტკიცებს (მკრეხელობა — ეკკლესიის სახმართ მძარცველობაა, ს. ს. ორბელიანი). აღბუღა ამბობს, თუ ეკკლესია გაძარცვონ, ალაფი „შეუქციონ" და „მეკობრე ხელთა მისცენ, რა გინდა უყონ, ნუ დაემდურებისო" (მუხ. რიდ, რიე). გუჯრებში ხშირად შეხვდებით, რომ მკრეხელს მაინც სიკვდილით სჯიდნენ, თუნდა მცირე ეკკლესიაც გაეტეხა და გაეძარცვა.

რამდენიმე სიტყვა სასჯელზედაც. აღბუღას სამართალში უმთავრესი ადგილი სისხლის დაურვებას უჭირავს. მაგრამ აქა-იქ სხვა სასჯელიც მოიპოვება. აი მაგალითები: როცა ცოლიანი კაცი ქმრიანს დიაცს უნამუსოდ გაჰხდიდა, დამნაშავეს ყელზედ საბელს მოაბამდნენ და შიშველს უბან-უბან ატარებდნენ (მუხ. კდ) [348]). თითქმის ასეთივე სასჯელი მოელოდა ზედდამსხმელს, რომელიც ჰლამობდა დიაცის წაგვრას,—შიშველს, ნიფხვის ამარა, სანეხვეზე ათრევდნენ და ჰშოლტავდნენ (მუხ. იდ) [349]). თვალთა დაწვაც ხმარებაში იყო (მუხ. რნგ), აგრეთვე ხელ-ფეხთა დაჭრა (მუხ. რჲჳ). თუმცა პირდაპირ მოხსენებული არაა, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ საათაბაგოში ზოგიერთს დიდს დამნაშავეს სიკვდილითაც სჯიდნენ. ასეთი დამნაშავე იყო ათაბაგის მოღალატე (მუხ. მა) და მეკობრე, რომელსაც ეწერა: «ხელთა მისცენ, რაგინდა უყონ, ნუ დაემდურებისო» [350]). რაც უნდა იყოს, საათაბაგოში მაინც იშვიათად იცოდნენ სიკვდილით დასჯა და ისეთი სასჯელი, რომელიც სხეულს სტკენს (тѣлесное наказаніе). შემდეგ ქართული სასჯელი მეტად სასტიკი შეიქმნა და იქამდე მიაღწია, რომ ეკკლესიაც-კი ზოგჯერ მცირე დანაშაულისათვის სიკვდილითა სჯიდა.

ნ. ურბნელი

[347]) ა. ხახანაშვილი, „გუჯრები", გვ. 122—37, სადაც ბიჭვინტის გუჯარია მოყვანილი.

[348]) ძველად გერმანიაში ასეთი სასჯელი გაჩენილი ჰქონდა ქალსა და არა კაცს, Беко, 121.

[349]) ცემით დასჯა რუსებმა მონგოლებისაგან შემოიღესო. დ. ბაქრაძეს ჰგონ ა, ეს სასჯელი საქართველოში არ იცოდნენ ვახტანგ სჯულ-მდებლამდე, თუმცა განსვენებულს მეცნიერს თითონაც არა სჯერა, რასაც ამბობს, Сб. Зак. Вахт. 71, прим. 1.

[350]) შემდეგაც ეკკლესია ასე სასტიკად ეპყრობოდა მეკობრეს, ა. ხახანაშვილის „გუჯრები", გვ. 130—4.

მა, აშკარად დავრწმუნებულიყავ, რამდენად განათლებული კაცი იყო. ვისაც განათლებული კაცი არ უნახავს ასეთს მდგომარეობაში, როგორშიაც ჩემს ნაცნობს ვხედავდი, ჩემსავით გაკვირვებული ცნობის-მოყვარე შეიქმნებოდა. წიგნში ეხლანდელს დროში ბევრს რასმეს ამოიკითხავს ადამიანი, მაგრამ წაკითხული ნახულთან შორს არის. ამ მუშა ინტელიგენტმა ისე მიიზიდა ყურადღება თავის უბრალო ქცევითა და მუშაობით, რომელიც „მოდად“ შემოვიდა რუსეთში ტოლსტოის მოძღვრების მეოხებით, რომ ზეთის-ხილი დავივიწყე სრულებით და გულ-წრფელად გამოვკითხე, თქვენის ფილოსოფოსის მიმდევართა დასს ხომ არ ეკუთვნით-მეთქი. იმან გაიღიმა და სიამოვნების გრძნობით სთქვა, რომ ამ გვარმა შრომამ მიიზიდა ჩემი გული და ჩემ მეორე არსებად გარდაიქცა სრულიად „უტოლსტოვოდაო“. „წინამძღოლს და ავტორიტეტს არ ითხოვს ჩემთვის ასეთი შრომა. ამგზას ცხოვრებაში ხანგრძლივის გამოცდილებისა და ბრძოლის შემდეგ დავადექ და არ გავცვლი არაფერზედ ამ წუთი-სოფელშიო“. მერე ლაპარაკი ჩამოაგდო იმის შესახებ, მოაქვს კარგი ნაყოფი თუ არა ამ შრომას ადამიანისათვისაო და მეურნესათვის და საზოგადოდ გლეხისათვის შესაფერი სწავლა მეცნიერება რა აუცილობელი საჭიროებააო. აქ ჩვენმა მუშამ გადმოატრიალა ორგანიული ქიმია, გადასწვდა უმეცრების წყვდიადს ჩვენს ქვეყანაში, მოიყვანა საბუთად როგორც უცხოეთისა და რუსეთის სამეურნეო ასპარეზზედ მომქმედ წარჩინებულ მოღვაწეთა აზრი, ისე თავისის, პირად გამოცდილების ნაყოფი იმის დასამტკიცებლად, რომ მეცნიერულად აღჭურვილი მუშა მუდამ დაჯილდოვებული იქნება შრომის ნაყოფითაო. „ეხლანდელს დროში მუშას მეცნიერების წყალობით წინდაწინვე შეუძლიან გამოიანგარიშოს, როგორ უნდა დაიმუშავოს მიწა და როდის, რომ ბუნებამ მისი გარჯა ასე თუ ისე დააჯილდოვოსო. ერთის სიტყვით, რასაც უბრძანებს მიწას და რამდენის მანათისასაც უბრძანებს, წინდაწინვე იმდენს მისცემს ოსტატს, განათლებულს დამმუშავებელს... ჩვენი გლეხი ისეთი ზარმაცია, დაუდევნელი, როგორც ესკიმოსებიო. იმათ თანდაყოლილი სიზარმაცე სდევნისო, როგორც საზოგადოდ ყოველს გაუნათლებელს ხალხს. თქვენშიაც, ამ მდიდარს ბუნებაში, ხომ აზიური სიზანტეა ყველას სიღარიბის მიზეზიო“.

როდესაც ამ მებაღემ დაიწყო ბაასი ქიმიის შესახებ, იქ ლიბიხს წამოჰკრა ხელი, აქ მენდელეევს, მაშინ-კი ვიფიქრე ჩემდა თავად: საცოდავი შარშანდელი ჩემი ნაცნობი მებაღე! ამ ბაღში ის მცენარეების სახელებსაც ვერ მორეოდა და აბა, რა სარგებლობას ჰნახავდა თავის შრომისას? განა იმ უწინდელ აქაურ მებაღეების ფუსფუსი ამ რუსის შეგნებულს საქმიანობასთან ჩხირ-კედელაობა არ არის-მეთქი. გავიხსენე აგრეთვე ის, რასაც ჩვენში ჰფიქრობენ მიწის გაპატივების შესახებ. კაცი იფიქრებს, ჩვენებური სოფლელი თუ ქალაქელი იმიტომ ამრავლებს და არ იშორებს თავისს სიცოცხლეში არე-მარედამ ყოველსავე თავისაგანვე გაჩენილს სიბინძურეს, რომ ეშინიან, ვაი თუ ეს უფრო მავნებელი შეიქნეს მისთვის, ვიდრე სასარგებლო. ეს მებაღე რუსი-კი ლამის მთელს ოზურგეთს უქადის გასუფთავებას, იმოდენა ზვინები დასდგა და სდგამს პატივისას! ვერ წარმოიდგენს კაცი, როგორის შებრალების კილოთი აცხადებდა საყვედურს იმის გამო, რომ გურულს ყმაწვილებს ვეხვეწები და ძვლებს ვერ მოვაკიდინე ხელიო. «წარმოიდგინეთ, ძვლის ხელის მოკიდება ეზიზღებათ, იმ ტიტველი ძვლებისა, რომელთაც არაფერი ვნების მოტანა არ შეუძლიან. მაგრამ, რა ვქნა, განა მარტო აქ მიშლის ხელს უმეცრება?! ასეა სხვაგანაცაო»... შემომჩივლა მებაღემ.

ამ უცხო კაცს ეს ბაღი (თუმ—ლისაა) იმ პირობით აუღია, რომ ნახევარი ბაღის შემოსავლისა თითონ წაიღოს და ნახევარიც—პატრონს ჩააბაროს. ამ ბაღს სივრცით კარგად მოზრდილი ადგილი უჭირავს ოზურგეთში და შიგ გაშენებულია სხვა-დასხვა ჩვენებური (კავკასიური) მცენარე და უცხოც, მაგალითად: ,,ევკალიპტუსი'', რომელიც მხოლოდ ავსტრალიაში და ტასმანიაში ვარგობს, მეცნიერთა აზრით *), მაგნოლია, ჩინეთის ჭინჭარი (რამი—Boehmeria tenacissima) და სხვ.

ვნახოთ, რა მაგალითს გვიჩვენებს აქაურებს ეს ინტელიგენტი. თუ რამ ჰკუის სასწავლი და წასაბაძველი დაგვანახვა ამ კაცმა, რომლის აზრით „ადამიანი მაიმუნსავით წამბაძველია“, მაშინ ხომ კეთილი და პატიოსანი—გამოიყენონ სხვის ნაცადი და მეცნიერული გამოცდილება. თუ არადა, ამასაც დავინახავთ და იმედი გვაქვს, მკითხველს გავუზიაროთ ამ საქმის ავ-კარგიანობა. რასაკვირველია, ეხლავე შეიძლება ვსთქვათ, რომ ბევრმა, უკაცრავად არ ვიყო, შესაძლოა «მაიმუნობაც» ვერ შესძლოს, მაგრამ გამოტყვრება რამდენიმე კაცი, რომელთათვისაც ეს ამბავი უმნიშვნელოდ არ ჩაივლის.

თუ მკითხველიც არ გაჯიუტდება და დამეთანხმება, გასაოცარი დაუდევრობა არსებობს ჩვენს ქვეყანაში; ეს დაუდევრობა საზოგადო, ნაცნობი სენი გახლავთ. აი, ავიღოთ, თუ გინდ, ოზურგეთი თავის ახლო-მახლო სოფლებით. ამ ქალაქის «საპარასკეოზედ», ამ სოფლის ნაწარმოებთა გამოფენის და აღებ-მიცემობის ადგილზედ, მარად სიცალიერე და ქვეყნის, მრეწველობის მხრივ სილატაკეს ჰხედავ, როცა-კი აათვალ-ჩამოათვალიერებ. დღეს მიხვალ, თუ ხვალ საპარასკეოზედ, ყოველთვის ერთი და იგივე სანახაობაა: შეშა, ქოთანი, ქათამი, კვერცხი, ქილობი... კიდევ დიდი ბედნიერება იქნებოდა ქალაქის მკვიდრთათვის, რომ ყველა ეს ხშირად იპოვებოდეს გასასყიდად ჩვენს საპარასკეოზედ. ამიტომაცაა, რომ ყველაფერს ჩვენი ვაჭრები სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან იბარებენ და ჰყიდიან ძვირად. უბრალო, რა ვსთქვათ, მწვანილიც-კი ქუთაისიდგან მოაქვთ, ანუ ბათუმიდგან. ალბად, ამ ქალაქში საზღვარ-გარეთიდგან მოაქვთ, რომ ისე ძვირად აფასებენ აქ მწვანილს ჩვენი სოვდაგრები. სწორედ ნამეტნავად უნდა გაენებივრებინოს მდიდარს ბუნებას გურიაში სოფლელები, რომ ასეთს დაუდევრობას მისცემიან. დაუგდეთ ყური და შენიშნავთ, რომ გლეხი თუ თავადი სიღარიბეს წუწუნებს. რამდენადაც დავკვირვებივარ ცხოვრებას გურიაში, სიღარიბე აქ მართლა შესამჩნევი არის შედარებით საქართველოს სხვა კუთხეებთან. თუმცა ღვთის წინაშე, უცხო ვინმე რომ მოვიდეს აქ და გარეგნობას (ტანსაცმელს, თავ-სახურავს) მიაქციოს ყურადღება, იფიქრებს: ამ ხალხს ქონებრივი სიღონივრე უნდა შესწევდესო, რომ ყველა ისე ზიზილ-პიპილებში დაიარება წოდების გაუნურჩევლადაო. ასეა ყოველთვის და ყველგან, განათლება ზიზილ-პიპილებით და ბრწყინვალე გარეგნობით იდგამს პირველად ფეხს.

გულსუნდა

*) ევკალიპტუსი, სახელდობრ, თუ არ ვცდებით, *Eucaliptus resinifera* ოზურგეთში ბევრსა აქვს და კარგადაც ჰხარობს.

## პრუსიელთა ჰაეროსტატები

გაზეთ «Новости»-ს მე-79 №-ში შემდეგი ორი წერილია რედაქციის მიმართ დაბეჭდილი ზემოხსენებულის სათაურით:

(პირველი წერილი)

ადგილობრივს რუსულსა და პოლშურს გაზეთებში ჯერაც არ გათავებულა მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, ვითომ ამ უკანასკნელს დროს ჰაერში ჰაეროსტატები გამოჩნდება ხოლმე უცხოეთიდგან მოსული, უფრო-კი გერმანიიდგანაო.

კორესპონდენტისა და მნახველების სიტყვები ამ საგნის შესახებ ერთმანეთს არ ეთანხმება. მაგალითად, პოლშურ გაზეთ „Wiek“-ის სიტყვით, 7 მარტს დაუნახავთ ჰაეროსტატი, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმავალი. იმ დროს, კორესპონდენტის სიტყვით, ქარი ჩრდილოეთისა ყოფილა, მაგრამ ნამდვილად-კი აღმოსავლეთისა იყო. ჰაეროსტატი, კორესპონდენტის სიტყვით, ერთს ხან მიმალულა და შემდეგ კვლავ გამოჩენილა უკან მომავალი. 11 მარტს ჰაეროსტატი დაუნახავთ ქალაქ პეტროვსკში. ამბობენ, ბინოკლის შემწეობით ჰაეროსტატზედ სამი კაცი დაინახეს და საღამოს კიდევ იგივე ჰაეროსტატი ელექტრონის სინათლით იყო განათებულიო.

საზოგადოებას ძლიერ სჯერა, რომ ხსენებული ჰაეროსტატები განკარგებულის წესით გაკეთებული გერმანელთა ჰაეროსტატებიაო. ეს აზრი მართალი არ უნდა იყოს, რადგანაც თუ-კი მართლა განკარგულს ჰაეროსტატს მოიგონებდნენ, მაშინვე მთელს ქვეყანას მოედებოდა ეს ამბავი, ხოლო აწინდელი ქიფფარისა და კრებაროს ჰაეროსტატები ისე ვერ არის განკარგებული, რომ ასეთის მოგზაურობისათვის გამოდგეს. რაც შეეხება გერმანულს ჰაეროსტატებს, ისინიც ყველგან უკვე ცნობილის წესით არის გაკეთებული და მხოლოდ ქარის შემწეობით შეუძლიან იაროს ჰაერში.

გვგონია-კი, რომ ხალხს ტყუილად ეჩვენება ჰაეროსტატად და მხოლოდ ის კომეტა ჩნდება, რომლის შესახებაც პროფესორი ხანდრიკოვი სწერდა „Кіевлянинъ“-ის მე-69 №-ში. გერმანულ ჰაეროსტატთა გადმოფრენა რუსეთის საზღვრებს აქეთ დიდად შესაძლებელი საქმეა: წარსულს ზაფხულსაც გერმანული ჰაეროსტატი ორის გერმანელის აფიცერითურთ ჩამოეშვა, თუ არა ვსცდებით, სედლეცკის გუბერნიაში. მაგრამ ჩვენმა მთავრობამ გახრიკა და მაშინვე თავიანთს ქვეყანაში გაისტუმრა.

საყურადღებოა აგრეთვე გაზეთ „Свѣтъ“-ის აზრიც ამ საგნის შესახებ: საჭიროა საზღვრის დარაჯს ებრძანოს, რომ თუ ვინიცობაა რუსეთში მომავალი ჰაეროსტატი დაინახოს, თოფები ესროლონ ხოლმეო. მაგრამ ამასთანავე მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოება: ჰაეროსტატი ჰაერში 2,500—3,000 მეტრის სიმაღლეზედ ჩერდება და თოფის ტყვია ვერ მისწვდება. თუნდა მისწვდეს კიდეც, მაინც ორი-სამი ტყვია ვერაფერს დააკლებს, რადგან ჰაეროსტატი თუ 100—120 ადგილას მაინც არ გაიხვრიტა, ძირს არ დაეშვება. თოფის სროლით მიგებება არც იმიტომაა სასურველი, რომ გერმანელებიც ასეთსავე ღონისძიებას იხმარებენ ჩვენიდგან წასულ ჰაეროსტატების წინააღმდეგ. რაკი ვარშავასა და ოროვეცში (რომელიც პრუსიის საზღვრიდგან მხოლოდ რამდენისამე ვერსის სიშორეზეა) დაარსდა საჰაეროსტატო განყოფილებანი, ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენი ჰაეროსტატებიც გადავლენ გერმანიის საზღვარს, რადგან მეცნიერებას ჯერ ისეთი ღონისძიება ვერა აღმოუჩენია-რა, რომ უტყუარად შეიტყონ წინადვე. საიდგან საით იქროლებს ქარი. აქედგან ის დასკვნა გამოგვყავს, რომ ზემოხსენებულ გვარ შემთხვევის დროს მხოლოდ ქონება გაესინჯოთ ხოლმე და შემდეგ თავიანთს ქვეყანაში გაისტუმრონ, ხოლო რაც შენიშვნა რამ, ან ადგილების გეგმა იქნება გადაღებული, უნდა უთუოდ წაერთვათ.

კ. შ.

ივანგოროდი

(მეორე წერილი)

მე რუსის აფიცერი გახლავართ და არ შემიძლიან არ წარმოვსთქვა ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნას ხმარებული, რომ მოვსპოთ გერმანიიდგან ჩვენში დაუპატიჟებლად მოგზაურობა ჰაეროსტატებით. მე მგონია, რომ ჰაეროსტატების შემწეობითვე უნდა ვებრძოლოთ. თუ ჩვენი ჰაერით მოგზაურები ვერ მოახერხებენ, რომ გერმანელებსავით ჰაეროსტატი თავიანთს ნებაზედ ატარონ, მაინც ჰაეროსტატიდგან სროლა თოფისა, თუნდა ეს ჰაეროსტატი ციხეზედაც იყოს მიბმული, უფრო ხერხიანი იქნება, ვიდრე სროლა მიწიდგან. უკეთესი იქნება, რომ საციხო თოფები ესროლონ ხოლმე და ან თუ ბერდანის თოფებს ესვრიან, დაყუმბარებულის ტყვიით გატენილი ესროლონ. ამ საგნისათვის უფრო გამოსადეგი იქნება ქიფფარის ჰაეროსტატი, რომელსაც შეუძლიან 30 კაცი დაიტიოს (როგორც, მაგალითად, სჩადიოდნენ 1869 წელს ლონდონში და 1878—79 წელს პარიჟში).

ჩვენი ჰაერით მოგზაურნიც, იმედია, თავისს აზრს წარმოსთქვამენ ამ საგნის შესახებ.

ე. ს.

## უცხოეთი

**ინგლისი.** 17 მარტის კრების დროს დეპუტატმა კილბრაიდმა ლაპარაკი ჩამოაგდო იმის თაობაზედ, რომ უთუოდ სავალდებულოდ უნდა გავხადოთ ირლანდიელ მუშა ხალხის მიერ მემამულეთაგან მამულის გამოსყიდვა, რათა თითოეულს მუშას თავისი საკუთარი პატარა ნაჭერი მამული ჰქონდესო. აწინდელ კანონის ძალით, გამოსყიდვა მამულისა მხოლოდ მემამულისა და მყიდველის ნება-ყოფლობასა და მორიგებაზეა დამოკიდებული, რის გამოც, კილბრაიდის აზრით, საქმე მამულის გამოსყიდვისა ვერა ხერხდება. მართალია, რამდენმამე დიდმა მემამულემ გაყიდა ნაწილი თავისის მამულისა, მაგრამ გაყიდა მხოლოდ იმდენი, რომ საჭირო ფული აეღო მამულის ვალის მოსაშორებლად, ე. ი. მხოლოდ უვარგისი მიწები. ამ სახით აწინდელი კანონი მამულის გამოსყიდვისა ერთიანად მემამულესაკენ არის გადაწეული. ეს გარემოებაა მიზეზი იმისაც, რომ შემდეგი უსწორ-მასწორობა ხდება მამულით სარგებლობის საქმეში: ერთი ფერმერი დიდს იჯარას აძლევს მამულის პატრონს, სამიწად-მფლობელო კომისიის გარდაწყვეტილების მიერ, და არც იმედი აქვს, რომ ოდესმე დაისაკუთრებს მამულსა, ხოლო მეორე ფერმერი გაცილებით ნაკლებს ხარჯს იხდის და 49 წლის შემდეგ მამულსაც დაისაკუთრებს. ასეთი უსწორ-მასწორობა მხოლოდ მაშინ მოისპობა, თუ სავალდებულო იქნება, რომ მემამულეებმა უთუოდ მიჰყიდონ მამული ფერმერებს. ამ წინადადებას კილბრაიდისას როსელმა შემდეგი დასძინა: თუ მაგ სავალდებულო დაკანონებასთან ერთად მამულების გამოსასყიდლად საჭირო ფულის შოვნის საქმეც არ მოვახერხეთ როგორმე, უიმისოდ მარტო დაკანონება ვერაფერს გააწყობსო. წინადადება კილბრაიდისა უარ-ჰყვეს 177 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 86 ხმისა, ხოლო როსელის აზრის განხილვა შემდეგის კრებისათვის იქმნა გადადებული.

**საფრანგეთი.** ანარხისტ რავაშოლის შეპყრობის შესახებ შემდეგს დაწვრილებითს ამბავს იუწყებიან გაზეთები. რამდენიმე მოხელე პოლიციისა თვალ-ყურს ადევნებდა ერთს საეჭვო კაცს, რომელიც რავაშოლად იცნეს სწორედ იმ დროს, როცა იგი ღვინის დუქანში შევიდა „Magenta“-ს ბულვარზედ. პოლიციის მოხელეებმა აცნობეს პოლიციის აგენტს დრეშს, რომელიც მაშინვე თავისის მდივნითურთ ხსენებულს დუქანში წავიდა. რავაშოლმა შეიტყო, დასაჭერად დამდევენო, და ამიტომ ხელად ისაუზმა და წავიდა. დრეში მდივნითურთ უკან გამოეკიდა. ამათ მოეშველა სამი სხვა მოხელეც პოლიციისა და ყველანი ერთად ეცნენ რავაშოლს. შეექმნათ ბრძოლა. რავაშოლმა ჯიბიდგან რევოლვერი ამოიღო, მაგრამ გასროლა-კი ვეღარ მოასწრო, რადგანაც პოლიციის მოხელეებმა მსწრაფლ გამოსტაცეს ხელიდგან. რის წვალებითა და ვაი-ვაგლახით ჩააგდეს რავაშოლი ეტლში და მახლობელს პოლიციის ბიუროში წაიყვანეს. როცა ბიუროში უნდა შეეყვანათ, რავაშოლი კვლავ გაუძალიანდა და გამწარებული ფეხებსა და ხელებს იქნევდა, ასე რომ 15 კაცმა ძლივს მოახერხა იმისი გაკავება. როცა შეიყვანეს ბიუროში, რავაშოლი მივარდა ერთს პოლიციელს და ხმალი ამოაძრო, მაგრამ დროზედ სწვდნენ, წაართვეს ხმალი და გათოკეს. შემდეგ კომისარის ბრძანებისამებრ, ტანთ გახადეს და ნიშნები შეამოწმეს. ბიუროდგან რავაშოლი პრეფექტურაში გა-

ისტუმრეს. გზაზედ რავაშოლი დაუცხრომლად იძახდა: „გაუმარჯოს ანარხიას! გაუმარჯოს დინამიტსაო!“ პრეფექტურაში კვლავ შეამოწმეს ნიშნები და შეპყრობილი კაცი რავაშოლი აღმოჩნდა. ის მაინც იძახდა, მე არა ვარ რავაშოლიო. მოიყვანეს სხვა დაჭერილი ანარხისტები, მაგრამ იმათ უარი სთქვეს, ეგ კაცი რავაშოლი არ არისო. ბოლოს ანარხისტმა მომარტენმა დაამტკიცა, სწორედ ეგ არის რავაშოლიო. რავაშოლი ღვინის მედუქნემ გასცა, რომელთანაც 15 მარტსაც ესაუზმნა.

**გერმანია.** 18 მარტს პრუსიის პალატამ გინიხილა თხოვნა ქალების საზოგადოებათა: ქალებსაც მიეცეთ ნება, რომ უნივერსიტეტში შევიდნენ სამკურნალო და საფილოსოფიო ფაკულტეტებზედ და აგრეთვე დედათა კლასიკური გიმნაზიები დააარსეთო. პალატამ თუმცა უარ არ ჰყო ეს საგანი, მაგრამ საჩქაროდ განსახილველ საგნად-კი არა სცნო. კონსერვატორთა ორატორები ამბობდენ, ქალების საქმე მარტო ოჯახიაო. შტეკერის აზრით, ის კიდევ შესაძლებელია, რომ ქალებმა მკურნალობა შეისწავლონ, მაგრამ ახალგაზდა ქალები და სტუდენტები როგორ უნდა მოთავსდნენ ერთადაო. ქალების მხარეს დეპუტატმა რიკერტმა ილაპარაკა: „მე არ მესმის, რა არის ეს ტირანია, რომელიც მთელს კაცობრიობის ნახევარს დასწოლია თავს და გზას უხშობს განათლებისას. სწორედ ძალათი თვალების აბმა იქნება, რომ ამ დროში კიდევ ვამბობდეთ, ყოველს ქალს შეუძლიან გათხოვებაო. აღწერამ აღმოაჩინა, რომ ქალები მამაკაცებზედ მომეტებულნი არიან და ამასთანავე ისიც ვიცით, რომ მრავალი ახალგაზდა კაცი უცოლოდ რჩება“. ამ სიტყვამ კარგად იმოქმედა პალატაზედ, ასე რომ ყველამ თანაგრძნობა განაცხადა ქალების მიერ უნივერსიტეტებში მკურნალობის შესწავლის თაობაზედ. ამის გამო ხსენებული თხოვნა ქალების საზოგადოებათა და აგრეთვე თხოვნა იმის შესახებაც, რომ ქალებს ნება ჰქონდეთ ეგზამენი დაიჭირონ ხოლმე და შესაფერი ატესტატი მიიღონ უნივერსიტეტში შესასვლელადაო, მთავრობას გარდაეცა. ხოლო ქალებს თხოვნა უნივერსიტეტში შესვლისა სამკურნალო ფაკულტეტზედ და დედათა კლასსიკურ გიმნაზიების დაარსების შესახებ პალატამ უარ-ჰყო.

---

## წვრილი ამბავი

პრინცი იოანნე რობესსკი, ნამდვილი მემკვიდრე შესანიშნავის პოლონელთა მეფისა, 10 მარტს ნიუ-იორკის შტატს ქალაქში მოუქტ-რისკოში დაპატიმრეს და ცხენი-პარიობისათვის ათის თვით საპატიმრო გადაუწყვიტეს.

— ლონდონში ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ ერთის უცნაურის ქორწინების შესახებ. საქმე ის არის, რომ სერ უატკინი, ცნობილი ლიბერალთა დეპუტატი და რკინის გზის ამხანაგობის დირექტორი, ჯვარს იწერს ქ-ნ ინგრემზედ, რომელიც მხატვრობითის ჟურნალის «The Illustrated London News»-ის პატრონის ნამეუღლარია და სამი მილიონი მანათი მზითევი აქვს. საპატარძლო 80 წლისაა, სამეფო 73 წლისა.

— ოსმალეთის გაზეთების სიტყვით, წარსულს 1891 წელს სულ 940 წიგნი გამოუციათ ოსმალეთში. ამათში 427 ოსმალურს ენაზედ, 146 ბერძნული, 120 სომხური, 29 ფრანგული, 15 იტალიური, 15 სპარსული, 6 ისპანური, 15 ბოლგარული, 2 ინგლისური და 2-ც გერმანული. ოსმალურად გამოცემულ წიგნთა შორის 145 რომანია, ბერძნულ წიგნთა უმეტესობაც სიტყვაკაზმული ლიტერატურაა, ხოლო სომხური წიგნები-კი უფრო სღვთის-მეტყველო შინაარსისაა.

— ამას წინად ბელგიაში გარდაიცვალა ბელგიის სახელმწიფო ჯალათი ბუტკენი, რომელიც სამოცის წლისა იყო. თუმცა ბუტკენი ერთად-ერთი ჯალათი იყო, მაგრამ მთელს თავისს სიცოცხლეში არავინ დასუჯია, რადგან ბელგიის მეფეები უოველთვის აპატიებდნენ ხოლმე სიკვდილით დასასჯელთა. ამისდა მიუხედავად, ჯალათი ვალდებული იყო ყოველთვის მზად ჰქონოდა გალესილი ცული და მაგარი თოკი. ამ მოვალეობის ასრულებისათვის ჯალათს წელიწადში ას ოც თუმნამდე ჯამაგირი ჰქონდა.

— დიდი ალიაქოთი მოახდინა თურმე სტამბოლში მცხოვრებთ ევროპიელთა შორის იმ ამბავმა, რომ ინგლისელმა მისსიონერმა, ლივერპულში მასწავლებლად ნამყოფმა, ჯონრონმა მაჰმადიანობა მიიღო და სახელად იასნი-ეფენდი დაირქვა. სულთანის ბრძანებით, ეს ახალი მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი სტამბოლის ზღვათა სასწავლებლის პროფესორად დაუნიშნავთ. ჯონსონი ამ ბოლოს დროს ინგლისის ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების წევრი იყო თურმე.

---

## დეპეშა

28 მარტი

**პეტერბურგი.** ცნობებს აღარ იტყობინებიან გარეშე საქმეთა მინისტრის ავადმყოფობის შესახებ.

**ბომბეი.** ავღანელები აწუხებენ შამან-კვეტის რკინის გზის სადგურს ხოიაკის ხეობის ჩრდილოეთს შესავალში. თავ-დასხმა კვეტის იქითა მხარეს უფრო გახშირდა. ამბობენ, საჭირო შეიქმნება, რომ რკინის გზის მოსამსახურენი შეაიარაღონო.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატის წევრმა დემოკრატმა მაკკრირიმ წინადადება წარადგინა, 1893 წელს ჩიკაგოში საერთაშორისო კონფერენცია მოვახდინოთ იმის პროექტის შესადგენად, რომ ყველა სახელმწიფოსათვის ერთ ნაირი სისტემა იქმნას შემოღებული ფულისა და წონისა და აგრეთვე დაწესდეს ერთ გვარი საერთაშორისო ფასი ოქროსიო.

**კაირი.** ქედივმა დეპეშა მიიღო ხონთქარისაგან, რომლის ძალითაც ქედივს ნება ეძლევა სინას ნახევარკუნძული განაგოს.

29 მარტი

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრი გუშინ გაცივდა; ცოტა გააცია და ამის გამო თავი ასტკივდა და მადა დაეკარგა. ღამე მშვიდად გაატარა. დილაზედ სიცხე 37,3° ჰქონდა.

21—27 მარტს განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მიუვიდა 16½ ათას მანათამდე.

რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორი თანახმად თავისის თხოვნისა დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

ფინანსთა მინისტრი უკეთ შეიქმნა; წამლობას დაუწყებს მოსკოველი პროფესორი ზახარინი.

,,Новости“ იუწყება, ივნისში პეტერბურგს მოვა ემირი ბუხარასი დიდის ამალითაო.

**ვენა.** ზაგრებიდგან აუწყებენ ,,Fremdenblat“-ს: ამ დღეებში საანარხისტო აგიტაციის გულისთვის სამხედრო მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულ ფელდფებელის იაკლინის სასძლოს წერილები აღმოაჩნდა, რომლიდგანაცა სჩანს, რომ იაკლინს ბელგიელ, ფრანგ და შვეიცარიელ ანარხისტებთანა ჰქონია ურთიერთობა.

**პარიჟი.** გუშინ კამპიენში სასამართლოს თავმჯდომარის სადგომი ააფეთქეს თუნუქის ცილინდრით, რომელიც თოფის წამლით ყოფილიყო გატენილი. ცილინდრი გარედგან სახლის ფანჯარაზედ დაედოთ. კაცთაგან არავინ დაღუპულა. ჰფიქრობენ, ეს აფეთქება ბრაკონიერებს უნდა მოეხდინოთ შურისძიებისა გამოო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7¾ | 7,80 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236½ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 199 | 199 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99½ | — ,, | — ,, |

---

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც.

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
«წერა - კითხვის საზოგადოების» და «ქართულ წიგნების მბეჭდავ ამხანაგობის» წიგნის მაღაზიაში საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ცახელისა, მეორე გამოცემა:

**შალვას თავ-გადასავალი**
ფასი 15 კაპ.

---

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას ტფილისისას, რომ თავად სოლომონ იოსების ძის ჯანდიერის ღვინის სავაჭროში ისყიდება კახური ღვინოები საკუთარის ვენახებისა—თუნგი სამ აბაზიდგან და ბოთლი 13 კაპეიკიდგან დაწყებული.

ძველ ფოსტის ქუჩაზედ, თავ. ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლში, იარმუკაზედ.

(2—45—2)

---

**ქართველებს**
**სააღდგომო საჩუქრად.**
ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება
**ილია ჭავჭავაძის** თხუზულებათა
1 ტ. (ლექსები და პოემები) კარგ ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით. 2 მ. 50 კ.
იგივე უყდო. . . . 2 მ.
იგივე მდარე ქაღალდზედ . 1 მ. 20 კ.
„ბნელო“, მოთხრობა მელანიასი მშვენიერის ყდით . 90 კ.
დავითაშვილის ნაწერები ლამაზის ყდით. . . 1 მ. 25 კ.
ზღაპრები ლამაზი ყდით . 80 კ.
ყაზბეგის თხზულებანი I, II, III ტ. ფასი თითო ტომისა მშვენიერის ყდით. . 2 მ. 50 კ.
ხოლო სამი ტომი ერთად . . . . . . . 7 მ. „ „

---

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული
**ილია ჭავჭავაძის**
**თხზულებათა**
პირველი ტომი
(ლექსები და პოემები)
ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.
ფასი 1 მ. 20 კ.

---

**კბილის ექიმი**
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—37)

---

**ყველგან!!!**
საპონი ოლეო-ვაზელინი
**როიალ-კონგო!**
ახალი ამბავი!!!
**სურნელოვანი წყლები**
FIN DE SIÈCLE
და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი
ფაბრიკისა
,,ვიქტორია რეგინასი“
**ე. გოდლო და ამხ.**
მოსკოვში.
(10—6)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
სასზნაური ბანკის ქარვასლა №№ 125 და 126):
**ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი.**
შექსპირის დრამები,
გადმოკეთებული ს. ყიფიანის მიერ
ფასი 20 კაპ.


Дозв. ценз. Тифлисъ, 30-го Марта 1892 г

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.